

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2019 წლის ---- ----- ქალაქი ბათუმი
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # -----

„ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის #14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის #14 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით თანდართული სიტუაციური გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განკარგულებაზე თანდართული სიტუაციური გეგმით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის #14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 28 თებერვალს გამოიცა #14 განკარგულება „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“. განკარგულების პირველი პუნქტით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა განახორციელოს ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა - ჯამში 568365,00 ლარის ოდენობით, განკარგულებაზე თანდართული სიისა და სიტუაციური გეგმის მიხედვით. ამასთან, განკარგულებას შეცდომით დაერთო მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირების მიწის ნაკვეთების სიტუაციური გეგმა. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის #14 განკარგულებაში და მას დაერთოს წინამდებარე პროექტით წარმოდგენილი სიტუაციური გეგმა.

- ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის #14 განკარგულებაში ცვლილების განხორციელება - განკარგულებაზე თანდართული არასწორი სიტუაციური გეგმის, დაბა ჩაქვში, ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირების მიწის ნაკვეთების რეალური სიტუაციური გეგმით ჩანაცვლება.

- ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური
პოლიტიკის სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე